ხელშეკრულება №263

DAISY *e.* XPERT საკონტროლო სალარო აპარატის შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის, საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 24 სექტემბერი 2019წ.

ერთი მხრივ, შპს **"ჯორჯიან სერვის ნეთვორკი"** ს/კ: 406049823 (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი იურისტის **გიორგი წაქაძის** სახით და მეორე შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი ს/კოდი 404945164 (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **ლაშა კილაძის** სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად და ნებართვის SMP190003717 საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, გაუწიოს შემსყიდველის საკუთრებაში არსებულ ამ მუხლის 1.2. პუნქტში აღნიშნულ "DAISY *e.* XPERT" საკონტროლო სალარო აპარატ(ებ)ს, (შემდგომში "სსა") სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურება, ასევე კრიპტო მოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილება. ხოლო შემსყიდველი თავის მხრივ იღებს ვალდებულებას ამ მუხლში აღნიშნული მომსახურების მიღების მიზნით მიმწოდებელს გადაუხადოს ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი; შესყიდვის ობიექტის კოდი: CPV 50311000 GPRS მომსახურება. საოფისე სააღრიცხვო მანქანების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება.

1.2. საკონტროლო სალარო აპარატის (ების) მონაცემები:

N	ფისკალური მეხსიერების ნომერი	სსა-ს ნომერი	მომსახურების გაწევის ვადა სსა-ზე
1.	----------	DY00078489	13/09/2019-13/09/2020

2.მომსახურების გაწევის წესი და პირობები

2.1. სსა-ს საგარანტიო პერიოდი აითვლება მისი პირველადი რეგისტრაციის მომენტიდან და სრულდება 3 კალენდარული წლის გასვლისთანავე. საგარანტიო მომსახურება გულისხმობს მიმწოდებლის მხრიდან სსა-ის ნებისმიერი ტექნიკური გაუმართაობის მიზეზების აღმოფხვრას იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი მიმწოდებელს მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თითოეულ საანგარიშო თვეზე გადაუხდის ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ სააბონენტო გადასახადს; საგარანტიო მომსახურების ღირებულება გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების ღირებულებაში.

2.2. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის შესაბამის სერვისცენტრში, შესაბამისი კვალიფიკაციის ტექნიკური პერსონალის მიერ. აღნიშნული მომსახურების მისაღებად შემსყიდველი ვალდებულია დაზიანებული სსა მიაწოდოს მიმწოდებელს შესაბამის სერვის ცენტრში; რომელიც თავის მხრივ ვალდებულია განახორციელოს ტექნიკური და საგარანტიო მომსახურება.

2.3. იმ შემთხვევაში, თუ სსა-ის დაზიანება გამოწვეულია შემსყიდველის მხრიდან მომხმარებლის სახელმძღვანელოში მითითებული წესების არასწორად გამოყენების, ძაბვის ცვალებადობის, სსა-ს შიდა მოწყობილობაში შესვლის მცდელობის, მისი მექანიკური დაზიანების, ფორს მაჟორული შემთხვევის შედეგად, შემსყიდველი კარგავს მიმწოდებლისაგან საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების მიღების მოთხოვნის უფლებამოსილებას;

2.4. ამ მუხლის 2.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია განაახლოს სსა-ს საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება, მხოლოდ მისი აღდგენითი სამუშაოების განხორციელების შემდეგ, რომლის ღირებულებაც განისაზღვრება ცალკე ხელშეკრულებით.

3. მიმწოდებლის უფლებამოსილება

3.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით, ნაწილობრივ ან/და მთლიანად შეუჩეროს ან/და შეუწყვიტოს შემსყიდველს სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურების, ასევე კრიპტო მოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილების მომსახურების

გაწევა, იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის არ განხორციელდება ხელშეკრულების მე-4-ე მუხლით გათვალისწინებული სააბონენტო გადასახადის დროულად და სრულად გადახდა.

4. სააბონენტო გადასახადი და ანგარიშსწორების წესი

4.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი მომსახურების სააბონენტო გადასახადი განისაზღვრება წლიურად 60 (სამოცი) ლარის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით ერთ სსა-ზე;

4.1.1 ხელშეკრულების ჯამური თანხა შეადგენს 60.00(სამოცი) ლარს;

4.2. შემსყიდველის მიერ სააბონენტო გადასახადის გადახდა ხორციელდება ერთიანად, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, სალარო აპარატზე წლიური ღირებულების 60 ლარის ოდენობით, ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 1.2 პუნქტით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად.

4.3. ანგარიშშწორების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულება და 1.2 პუნქტით განსაზღვრული გრაფიკი.

5.ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი გაგრძელების და შეწყვეტის პირობები

5.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2.ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

5.2.1. მომწოდებლის მიერ, თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.2.2.შემსყიდველის მიერ, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.2.3.მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

5.3.ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

6. დავის გადაწყვეტის წესი

6.1.წინამდებარე ხელშეკრულებით დაურეგულირებელი საკითხები გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

7. დასკვნითი დებულებანი

7.1.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

7.2.წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ან/და ნაწილის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სრულ ბათილობას;

7.3.ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

7.4. ხელშეკრულება დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

7.5. ხელშეკრულება ძალაში შედის მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებაზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმების თარიღიდან.

8.მხარეები და მათი რეკვიზიტები:

8.1. მიმწოდებელი	8.2. შემსყიდველი
შპს "ჯორჯიან სერვის ნეთვორკი" ს/კ: 406049823 **(032) 2 500 111** **http://gsn.com.ge** ს.ს. „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE70TB7114436080100001 Giorgi Tsakadze Digitally signed by Giorgi Tsakadze Date: 2019.09.24 16:44:50 +04'00' წარმომადგენელი: გიორგი წაქაძე	შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" ს/კ 404945164 ს/ს ,,თი ბი სი ბანკი,, ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE75TB7810436020100002 LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction Date: 2019.09.24 15:26:53 +04'00' გენერალური დირექტორი: ლაშა კილაძე

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" გენერალური დირექტორი ლაშა კილაძე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაზე (№263; 24,09,2019წ.) ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესეთა კონფლიქტს.

ასევე ამავე მუხლის შესაბამისად, ნ. გოგინაშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი) ნ. ჭეიშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" საფინანსო ეკონომიკური სამსახურის უფროსი) ხელმოწერით ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების (№263; 24,09,2019წ.) მიმწოდებელთან („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, პირველი პუნქტის „გ" და „ე" ქვეპუნქტები) შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკ"-თან.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის გენერალური დირექტორი: ---------- /ლ. კილაძე/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ---ნ. გოგინაშვილი--- /ნ. გოგინაშვილი/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის უფროსი:

---ნ. ჭეიშვილი--- /ნ. ჭეიშვილი/

24,09,2019წ.

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction

Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Date: 2019.09.24 15:27:18 +04'00'